და და ნაცვალსახელებთან და ნ უარყოფასთან შეერთებით, როგორც هست ისე است იძლევა შემდეგ ფორმებს: کیست, چیست და نیست (ვინ? რა? და არ არის). ცოცხალ სასაუბრო ენაში هست და است შორის მკაცრი განსხვავება უკვე აღარ არის. ასე მაგალითად, ამბობენ: گرسنه هستم - მშიერ - მწყურვალ ვარ, თუმცა گرسنه ام უფრო სწორია. აქ ამ არის კავშირზმნა.

2. بودن — ყოფნა.

აწმყო დროის ფუძე — باش; ბრძ. კილო (ძველებური) — بو

მს. რ. 1. بوم 2. بوی 3. بود

აწმყო.

მრ. რ. 1. بویم 2. بوید 3. بودند

(ნატვრ. باد, ძვ. ბრძან. კ. მეორე პ. მრ. რ. بيد და არაჩვეულებრივი بويد — არასწორი ფორმებია). განსაკუთრებულ ფორმებს წარმოადგენენ პირობითი კილო და პირველი მოთადი: باشی, باشد და სხვ. ბრძ. კ. მს. რ. 2. باش მრ. რ. 2. باشید. ამ ზნის აწმყო დრო კავშირზმნასთან შედარებით, იძლევა ექვრს ანუ დაუოწმუნებლობის მნიშვნელობას: این چه چیز میباشد? — ეს რა უნდა იყოს? შედარებით კითხვასთან: این چه چیز است? — ეს რა არის? ყველა ეს ფორმა იხმარება ან ნაწილაკებით.

3. მეშველი ზმნა خواستن — حواء იხმარება მხოლოდ I მოთადის შესაღვენად.

4. شدن — شو — რადმე ქცევა. გახდომა (ძველად — წასვლა), სინონიმებით: گشتن — گردیدن — گرد — ბრუნვა, „რადმე გახდომა“ და აწ უკვე აღარ ხმარებული: آمدن — آ — მოსვლა (ფირდოუსისთან: گرت — თუ შენგან თქმულ იქნას, ხელმწიფეებს მიართვია); იხმარება ვნებითი გვარის საწარმოებლად. ხალხურ ენაში შემ-

ველის როლშია აგრეთვე ზმნა **داشتن** - **دار** - ქონება, კერა. ამ ზმნის აწმყო-სა და საუღლებელი ზმნის განგრძობითი აწმყოსაგან მიიღება დაუყოვნებლივ შესასრულებელი მყოფადი: **داره میرقصه** - „ეხლავე აცეკვდება“. აგრეთვე ამავე ზმნის პრეტერიტუმისაგან შემდგარია ნამყო, რომელიც დაუყოვნებლივ, **ეს-ეს** არის მოხდა: **داشت رفت** — „ეს-ეს არის წავიდა“.

### ზმნების პარადიგმა

ზმნების ფუძეები და მათზე აგებული მარტივი ფორმები

ა. სახელზმნა **رفتن** - წასვლა.

აწმყო დროის ფუძე — **رو** rav.

ნამყო დროის ფუძე — **رفت**

აწმყო. ფუძე — **رو**

პირის დაბოლოებები:

მხ. რ. 1. **م** - am; 2. **ی** - ī 3. **د** - ad

მრ. რ. 1. **یم** - im; 2. **ید** - id 3. **اند** - and

ასე რომ, მივიღებთ:

მხ. რ. 1. **روم** ravam მრ. რ. 1. **رویم** ravim

2. **روی** ravī 2. **روید** ravīd

3. **رود** ravād 3. **روند** ravānd

ეს მარტივი ფორმა უპრეფიქსოდ იხმარება კავშირებითი და პირობითი კილოებისათვის და ბრძანებითის ყველა პირისათვის; ასე რომ, მისი მნიშვნელობა ასეთია:

მხ. რ. 1. **ravam**—მივლივარ, წავიდე, ვიარო;

2. **ravī**—მიდიხარ, წახვიდე, იარო;

3. **ravad**—მიდის, წავიდეს, იაროს;

- მრ. რ. 1. ravim—მივიღვართ, წავიღეთ, ვიაროთ;  
 2. ravid—მიდიხართ, წახვიდეთ, იაროთ;  
 3. ravand—მიდიან, წავიდნენ, იარონ;

ჩვეულებრივი აწმყოს ფორმებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს პრეფიქსი *می* mi.

მაგალითი:

- |                                |                                 |
|--------------------------------|---------------------------------|
| მხ. რ. 1. <i>میروم</i> mīravam | მრ. რ. 1. <i>میرویم</i> mīravim |
| 2. <i>میروی</i> mīravī         | 2. <i>میروید</i> mīravīd        |
| 3. <i>میرود</i> mīravad        | 3. <i>میروند</i> mīravand       |

კავშირებითი კილო მიიღება ამავე მარტივი აწმყო დროისათვის *ب* პრეფიქსის წამძღვარებით.

მაგალითი:

- მხ. რ. 1. *بروم* beravam — წავიდე ან წავალ;  
 2. *بروی* beravī — წახვიდე ან წახვალ;  
 3. *برود* beravad — წავიდეს ან წავა;  
 მრ. რ. 1. *برویم* beravim — წავიღეთ ან წავალთ;  
 2. *بروید* beravīd — წახვიდეთ ან წახვალთ;  
 3. *بروند* beravand— წავიდნენ ან წავლენ;

ბრძანებითი კილო, მხ. რ. II პირისა თავისი ფორმით იგივეა, რაც აწმყოს წმინდა ფუძე *رو* rav, იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს მიერთვის წინ *ب* პრეფიქსი; ასე რომ ბრძანებითი კილო იქნება:

*برو* — berav — წალი, იარე!

იგივე ფორმა  $ro - rav$  ატარებს აწმყოს პირველსახეობითი მიმღეობის აზრს, მაგრამ არა ცალკე, დამოუკიდებლად, არამედ იგი შედის. როგორც მეორე შემადგენელი ნაწილი რთულ სიტყვაში:

\*  $پیشرو$  (=  $پیش$  - წინ და  $رو$  - მავალი) - წინამორბედი;

$پرو$  (=  $پز$  - კვალი, ფეხი, და  $rav$  - მავალი) - კვალში მიმდევარი.

მაშასადამე, აწმყოს ფუძის საშუალებით იწარმოება შემდეგი მარტივი ფორმები:

1. მარტივი აწმყო:  $روند$  და  $سبخه$  . . . .  $روم$  .
2. აწმყო:  $میروند$  . . . .  $میروم$  .
3. კავშირებითი კილო:  $بروند$  . . .  $بروم$  .
4. პირველსახეობითი მიმღეობა: \* $رو$  - „მავალი“.
5. ბრძანებითი კილო II პ.:  $برو$  -  $به$  პრეფიქსით —  $berav$  - წადი!
6. ამავე  $رو$  - იდან ნაწარმოები აწმყოს სამგვარი მიმღეობა:

a.  $روا$  -  $ا$ ; b.  $روان$  -  $ان$ ; c.  $روند$  -  $ند$  .

ბ.  $روان$  -  $ان$  ან  $روان$  -  $ان$  - მოსვლა.

1. მარტივი აწმყო.

მს. რ. 1.  $آید$  2.  $آئی$  3.  $آید$

მს. რ. 1.  $آیند$  2.  $آئید$  3.  $آیند$  .

\* შესაძლებელია  $رو$  ფორმა თავდაპირველად აღნიშნავდა ბრძანებას და, მაშასადამე,  $پیشرو$  უნდა გავიგოთ: წინ იარე! ე. ი. ეს  $رو$  იგივეა. რაც ბრძანებითი  $برو$  -  $به$  პრეფიქსით.

\*\* იხმარება, როგორც რთული სიტყვის შემადგენელი მეორე ნაწილი.

## 2. აწმყო.

მს. რ. 1. მიამ 2. მიანი 3. მიად

მრ. რ. 1. მიამ 2. მიანი 3. მიად

## 3. თანხმობითი ანუ კავშირებითი კილო.

მს. რ. 1. ბიამ 2. ბიანი 3. ბიად

მრ. რ. 1. ბიამ 2. ბიანი 3. ბიად

## 4. ბრძანებითი კილო. მხ. რიცხვი -- ან აი; პრეფიქსით -- ბია

## 5. აწმყო ღროის სამგვარი მიმღეობა.

1. აია 2. აიან 3. აინდე

## გ. ფროს - გაყიდვა.

## 1. მარტივი აწმყო.

მს. რ. 1. ფროსმ 2. ფროსი 3. ფროსდ

მრ. რ. 1. ფროსიმ 2. ფროსიდ 3. ფროსიდ

## 2. აწმყო.

მს. რ. 1. მიფროსმ 2. მიფროსი 3. მიფროსდ

მრ. რ. 1. მიფროსიმ 2. მიფროსიდ 3. მიფროსიდ

## 3. კავშირებითი კილო.

მს. რ. 1. ბფროსმ 2. ბფროსი 3. ბფროსდ

მრ. რ. 1. ბფროსიმ 2. ბფროსიდ 3. ბფროსიდ

## 4. პირველსახეობითი მიმღეობა.

ფროს გაყიდველი; ფროს მიო - მებილე, ხილის გაყიდველი.

5. ბრძანებითი კილო. შხ. რიცხვი فروش; به (?) პრეფიქსით —  
فروش - გაყიდე!

6. ამავე ფუძიდან იწარმოება აწმყო დროის სამგვარი მიმღეობა.

1. فروشا 2. فروشان 3. فروشنده

დ. خواندن — კითხვა, გალობა, დაძახება.

1. მარტივი აწმყო.

შხ. რ. 1. خوانم 2. خوانی 3. خواند

მრ. რ. 1. خوانيم 2. خوانيد 3. خوانند

2. აწმყო.

შხ. რ. 1. ميخوانم 2. ميخوانی 3. ميخواند

მრ. რ. 1. ميخوانيم 2. ميخوانيد 3. ميخوانند

3. კავშირებითი კილო.

შხ. რ. 1. بخوانم 2. بخوانی 3. بخواند

მრ. რ. 1. بخوانيم 2. بخوانيد 3. بخوانند

4. აწმყო დროის პირველსახეობითი მიმღეობა — خوان

5. ბრძანებითი კილო მხოლოდითი რიცხვის მეორე პირისა — بخوان

6. აწმყო დროის სამგვარი მიმღეობა:

1. خوانا 2. خوانان 3. خواننده

ნამყო დროის ფუძეზე აგებული ფორმების ნიმუშები

رفتن - წასვლა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ნამყო დროის ფუძე არის رفت (მიიღება ინფინიტივისთვის ბოლო ن მარცვლის მოკვეციტ).

ნამყო დრო იწარმოება ნამყოს ფუძისთვის პირთა დაბოლოებების შეერთებით. პირის ნიშნები იგივეა, რაც აწმყოსი, იმ განსხვავებით, რომ მხ. რიცხვში შესამე პირს ა დაბოლოება აღარ ემატება: ასე რომ. ფუძე رفت და შესამე პირი ფორმით ერთი და იგივე იქნება.

1. მარტივი ნამყო. ფუძე—رفت  
პირთა დაბოლოებები შემდეგია:

მხ. რ. 1. مَ 2. یَ 3. არა აქვს

მრ. რ. 1. یَمَ 2. یَدَ 3. دَ

მაგალითი:

მხ. რ. 1. رفتم 2. رفتی 3. رفت

მრ. რ. 1. رفتیم 2. رفتید 3. رفتند

2. ნამყო უსრული.

იწარმოება ისევე, როგორც მარტივი ნამყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მის ფორმებს ემატება პრეფიქსი می ma; ეს პრეფიქსი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც გრძელდებოდა წარსულში და მეორდებოდა რამდენიმეჯერ. ამ პრეფიქსზე გადადის მთავარი მახვილიც: رفتم-წავედი, მაგრამ—میرفتم-მივდიოდი (ძვ.—ვიდოდი).

მხ. რ. 1. میرفتم მრ. რ. 1. میرفتیم

2. میرفتی 2. میرفتید

3. میرفت 3. میرفتند

შენიშვნა. თუ უარყოფა ი (შეერთებით-) უზის წინ ზმნის ფორმას, რომელიც ხმოვნით იწყება, ამ ნაწილაკს შემდეგ j (ჲ) ბგერას ჩაურთავენ ხოლმე. ამგვარი ფორმისათვის می ma პრეფიქსის დანშის დროს, გრძელი ა ნაწილდება [j-ზე. ასე რომ, ზმნისაგან آمدان—آ آمدن ან آ آمدان—ā(āj) მიიღება ნამყოს ფუძისათვის ნაწილაკების j na და می ma-ს მიმატებით, შემდეგი ფორმები:

نیاامد uā-j-āmadam-მე არ მოვედი, ან میامدم mī-j-amadam-მოვ-  
დიოდი (დავდიოდი), ან აწმყო: نیایم uā-j-ājam—არ მოვიდე. თუ  
ზმნის ფორმას უკვე აქვს მირთული ნაწილაკი mī, იმ შემთხვევაში  
უარყოფა na დაისმის mī-ს წინ. აწმყო: nā-mī-ājam—არ მოვდივარ.

3. ნამყო დროის მიმღეობა.

ამავე ნამყო დროის ფუძისაგან, რომლის მონახვაც ადვილია, იწარ-  
მოება ნამყო დროის მიმღეობაც; ამისათვის საკმარისია მიეუმატოთ ნამყოს  
ფუძეს დაბოლოება—o (ā). کردان kardān—კეთება; ნამყო დროის ფუძე—کرد kard;  
აქედან ნამყოს მიმღეობა იქნება کردا kardā; აგრეთვე: گفتن gōftān—  
თქმა, ლაპარაკი. ნამყო დროის ფუძე گفت gōft; — დაბოლოების მი-  
მატებით მივიღებთ ფორმას گفتا gōftā. ასევე ზმნისაგან دادا dādā-ნიცე-  
მა (ფუძე—داد dād) მიიღება دادا:

4. ბოლომოკვეცილი განუსაზღვრელი ფორმა (ინფინიტივი).

ზოგიერთი რთული ზმნის ფორმაში შედის, როგორც შემადგენელი  
ნაწილი ბოლომოკვეცილი ინფინიტივი, რომელიც მიიღება ჩვეულებრივი  
ინფინიტივისთვის ბოლო ى. მარცვლის მოკვეცილთ. ასე რომ, ფორმა-  
ლურად ბოლომოკვეცილი ინფინიტივი, ნამყოს ფუძე და მარტივი ნაწ-  
ყოს მხ. რიცხვის III პირი ერთი და იგივეა. ამნაირად ზმნისაგან کردان  
kardān—მიიღება ბოლომოკვეცილი ინფინიტივი کرد kard, რომელიც  
ფორმალურად სრულიად ემთხვევა ნამყოს ფუძეს (ეს უკანასკნელი კი  
არის იგივე მარტივი ნამყოს მხ. რიცხვის მესამე პირი).

### მყოფადი დრო

ბოლომოკვეცილი ინფინიტივი, როგორც უფრო მოკლე, მარტი-  
ვი და ადვილსახმარი ფორმა, გამოყენებულია ენაში პირველი ანუ მარ-  
ტივი მყოფადისათვის. იწარმოება იგი შემდეგნაირად: აიღება აწმყო  
დროის პირის ფორმები მეშველი ზმნისაგან: خواستن—خواه xāstān (xāh).  
იუღლება, მხოლოდ დამხმარე ზმნა და თვითეულ ფორმას მიერთვის საულ-  
ლებელი ზმნის ბოლომოკვეცილი ინფინიტივი. მაგ., ზმნისაგან رفتن -  
წასვლა, ბოლომოკვეცილი ინფ.—رفت raft. 1-ლი მყოფადი იქნება  
رفت خواه xāham raft, خواهی رفت xāhī raft და სხვ. ამ ზმნის ულ-  
ლების სრული ცხრილი ასეთია:

მხ. რ. 1. رفت خواه—მე წაველ

2. خواهی رفت

3. خواهد رفت



- მრ. რ. 1. خواهيم رفت  
2. خواهيد رفت  
3. خواهند رفت

xāham raft უნდა ითარგმნოს ერთი სიტყვით „წავალ“ და არა „მინდა წავიდე“; ეს უკანასკნელი სპარსულშიც ასევე ითქმის: mīxāham beravam.

მაგალითად:

من فردا بکوتایس خواهيم رفت — man fardā be Kutājs xāham raft—მე ხვალ ქუთაისს წავალ.

من فردا بکوتایس ميخواهم بروم — man fardā be Kutājs mīxāham beravam—მე ხვალ ქუთაისს მინდა წავიდე.

უარყოფა მიერთვის არა ძირითადს და უცვლელად დარჩენილ ზმნას, არამედ მეშველ ზმნას. მაგალითად: na xāham raft—არ წავალ.

არ უნდა შევეუროთ ერთი-მეორეში: xāham raft და mīxāham beravam. პირველი ნიშნავს „წავალ“ და მეორე კი—„მინდა წავიდე“.

აგრეთვე:

دادم خواهيم xāham dād—მივცემ.

ميخواهم بدهم mīxāham bedeham—მინდა, მსურს მივცე (ისე როგორც ამას ქართულად იტყვიან).

ასევე:

گفتم خواهيم xāham goft—ვიტყვი;

მაგრამ:

ميگويم خواهيم mīxāham begujam—მინდა ვთქვა.

მოქმედებითი და საშუალო ზმნების სამი მთავარი  
ღროს ფორმების გამოხატვის ნიმუშები

ზმნა خریدن — خر — ყიდვა.

აწმყო ღრო. ფუძე — خر პირის დაბოლოებებით.

მარტივი აწმყო (უპრეფიქსო, თანხმობითი ან მეორე მყოფადის მნიშვნელობით).

მს. რ. 1. خرم xaram	მრ. რ. 1. خریدم xarim
2. خری xarī	2. خریدی xarīd
3. خرد xarad	3. خریدند xarand

ჩვეულებრივი აწმყო (ყოველთვის می mi პრეფიქსით).

მს. რ. 1. میخرم mīxaram	მრ. რ. 1. میخریم mīxarim
2. میخری mīxarī	2. میخریدی mīxarīd
3. میخرد mīxarad	3. میخرند mīxarand

კავშირებითი კილო (ـ بخـ პრეფიქსით ხმარებული).

მს. რ. 1. بخرم bexaram	მრ. რ. 1. بخریم bexarim
2. بخری bexarī.	2. بخریدی bexarīd
3. بخرد bexarad	3. بخرند bexarand

ბრძანებითი კილო.

მს. რ. 2. بخر bexar - იყიდე!

მრ. რ. 2. بخرید bexarīd - იყიდეთ!

აწმყო დროის მინდობები: პირველსახეობითი خر xar ფორმალურად იგივეა; რაც აწმყოს ფუძე; ცალკე ანუ დამოუკიდებლად არ იხმარება.

1. خرا xarā      2. خزان xarān      3. خریدند xarānda

წამყო დრო. ფუძე — خرید (ბოლომოკვეცილი ინფინიტივი).

მს. რ. 1. خریدم xarīdam — ვიყიდე.

2. خریدی xarīdī — იყიდე.

3. خرید xarīd — იყიდა.

მრ. რ. 1. خریدیم xarīdīm — ვიყიდეთ.

2. خریدید xarīdīd — იყიდეთ.

3. خریدند xarīdānd — იყიდეს.

წამყო უსრული\* (می პრეფიქსით).

მს. რ. 1. میخریدم mīxarīdam — ვყიდულობდი.

2. میخریدی mīxarīdī — ყიდულობდი.

3. میخرید mīxarīd — ყიდულობდა.

მრ. რ. 1. میخریدیم mīxarīdīm — ვყიდულობდით.

2. میخریدید mīxarīdīd — ყიდულობდით.

3. میخریدند mīxarīdānd — ყიდულობდნენ.

წამყო დროის მიმღობა: خریده xarīda.

\* ანუ განკრძობითი, განმეორებითი.

ბოლომოკვეცილი ინფინიტივი— خرید xarīd -ყიდვა (მიიღება ინფინიტივისთვის ბოლო ن\_ an მარცვლის მოკვეციტთ).

I მყოფადი (იწარმოება ბოლომოკვეცილი ინფინიტივისთვის خواستن -xastan მეშველი ზმნის აწმყო დროის ფორმების დართვით).

მს. რ. 1. خرید خواهم -- xāham xarīd-ვიყიდი.

2. خرید خواهی -- xāhī xarīd

3. خرید خواهد -- xāhad xarīd

მრ. რ. 1. خرید خواهیم -- xāhīm xarīd

2. خرید خواهید -- xāhīd xarīd

3. خرید خواهند -- xāhand xarīd

მყოფადის მიმღობა (იწარმოება სახელზმნისათვის ی-ს მიმატებით). خریدنی xarīdanī -საყიდელი.

ზმნა فروش -გაყიდვა.

მარტივი აწმყო. ფუძე — فروش

მს. რ. 1. فروشم მრ. რ. 1. فروشیم

2. فروشی فروشید

3. فروشد فروشند

ჩვეულებრივი აწმყო (می პრეფიქსით).

მს. რ. 1. میفروشم mīforuṣam მრ. რ. 1. میفروشیم mīforuṣīm

2. میفروشی mīforuṣī mifrošid

3. میفروشد mīforuṣad mifroṣand

## კავშირებითი კილო.

მხ. რ. 1.	بفروشم	beforuşanı	მრ. რ. 1.	بفروشىم	beforuşım	
	۲.	بفروشى	beforuşı	۲.	بفروشىد	beforuşıd
	۳.	بفروشد	beforuşad	۳.	بفروشد	beforuşand

## ბრძანებითი კილო.

მხ. რ. 2. بفروش beforuş

მრ. რ. 2. بفروشىد beforuşıd

## აწმყო დროის მიმღეობანი.\*

1. فروشا foruşa

2. فروشان foruşān

3. فروشنده foruşanda

## ნამყო დრო. ფუძე فروخت (ბოლო მოკვეცილი ინფინიტივი).

## 1. მარტივი ნამყო.

მხ. რ. 1.	فروختم	foruxtam	მრ. რ. 1.	فروختم	foruxtım	
	۲.	فروختى	foruxtı	۲.	فروختيد	foruxtıd
	۳.	فروخت	foruxt	۳.	فروختند	foruxtand

\* პირველსავეობითი მიმღეობა فروش foruş ფორმალურად იკივეა, რაც აწმყო დროის ფუძე. დამოუკიდებლად აო იხნარება. მხოლოდ შედის, როგორც მეორე შეხად-გენელი ნაწილი, რთულ სიტყვებში. როგორიცაა: ميوه فروش - mivāforuş—ხილის გამყიდველი ანუ მეხილე; كتاب فروش kitāb foruş—წიგნის გამყიდველი ანუ ბუკინისტი; حلوا فروش halvāforuş - ტკბილეულობით მოვაპურე.

## 2. ნამყო უსრული.

მს. რ. 1. میفروختم - mīforuxtam - ვყილდი.

2. میفروختی - mīforuxtī

3. میفروخت - mīforuxt

ნამყო დროის მიმღობა: فروخته foruxta - გაყიდული, გამყიდველი, გაყიდა რა.

ბოლომოკვეცილი ინფინიტივი: فروخت - foruxt;

პირველი მყოფადი.

მს. რ. 1. خواهیم فروخت xāhain foruxt

2. خواهی فروخت xāhī toruxt

3. خواهد فروخت xāhad foruxt

მ. რ. 1. خواهیم فروخت xāhīm foruxt

2. خواهید فروخت xāhīd foruxt

3. خواهند فروخت xāhand foruxt

მყოფადის მიმღობა: فروختنی --საყიდელი (საკადრისობის ی).

## მეშველი ზმნების შემწეობით წარმოებული ფორმები

აღწერილობითი წარმოებანი და ზმნათა  
რთული ფორმები

ა) აწმყო დროის მიმღობისა და მეშველი ზმნისაგან.

پرسا است forsā ast — მკითხე-ა || შემკითხველია || გამომკითხველია.

بود پرسا بود forsā bud — მკითხე იყო, ანდა კიდევ: پرسان است — შემკითხველია, გამომკითხავია, მკითხეა. اگران است — წამავეალია;

6. ი. აბულაძე



ნამყო მე-2-ე (პლუსქუამპერფექტუმ I).

- |                     |                                   |
|---------------------|-----------------------------------|
| მს. რ. 1. რفته بودم | წავსულვიყავ. მრ. რ. 1. რفته بودیم |
| 2. რفته بودی        | 2. რفته بودید                     |
| :: რفته بود         | :: რفته بودند                     |

ნამყო მე-3-ე (პლუსქუამპერფექტუმ II).

მს. რ. 1. რفته بوده ام წასული ვყოფილვარ.

2. რفته بوده ای

:: რفته بوده است

მრ. რ. 1. რفته بوده ایم

2. რفته بوده اید

3. რفته بوده اند

მყოფალი მე-2-ე ანუ კავშირებითი კილო.

მს. რ. 1. پرسیده باشم - ვკითხავ, რომ შეკითხა, ნე-  
ტივი შეკითხა.

2. پرسیده باشی

:: پرسیده باشد

მრ. რ. 1. پرسیده باشیم

2. پرسیده باشید

3. پرسیده باشند



შენიშვნა 1. არსებობს აგრეთვე იშვიათი ინფინიტივი: *پرسیده بودن* *poršīda budan*-შკითხედ ყოფნა, გამოშკითხავად ყოფნა.

შენიშვნა 2. ძველს პოეზიაში ნაწილაკი *به* ამ შემთხვევაშიაც გვხვდება; ასე მაგალითად, ხმარობენ: *پرسیده باشم*, *پرسیده ام* და სხვა.

შენიშვნა 3. უარყოფითი ნაწილაკი უერთდება მიმლეობას: *نکرده باشم*, *نکرده بودم* და სხვა.

### ვნებითი გვარი

ვნებითი გვარი იწარმოება ამავე ნამყო დროის მიმლეობისა და მეშველი ზმნის—*شدن* *šadan*—გახდომა, გადაქცევა რადმე,—პირის ფორმებისაგან. მის მაგივრად იხმარება აგრეთვე მეშველი ზმნა —*گردیدن* იმავე მნიშვნელობით, რაც აქვს *شدن*-ს.

ამნაირად მიიღება განუსაზღვრელი ფორმა ანუ ინფინიტივი *پرسیده شدن*; რულება მხოლოდ მეშველი ზმნა—*شو شدن* *šudan—šav* ან *گردیدن*—*گرد*, ძველი *گشتن*—*گرد*.

მაგალითისათვის ავიღოთ ზმნა *شدن* *კთხე*—„მოკლულ ყოფნა“:

*ბრძან. კ. მხ. რ.*—*شو ان کتھے بشو*

ნატვრითი კ. მხ. რ.—*شو ان کتھے*

მარტივი აწმყო—*شو ان کتھے*

აწმყო კავშ.—*شو ان کتھے*

აწმყო განგრძ.—*شو ان کتھے*

პრეტერიტუმი—*شو ان کتھے*

პრეტ. თანხმ.—*شو ان کتھے*

პრეტ. განგრძ.—*شو ان کتھے*

პერფექტი I—*شو ان کتھے*

პერფექტი II—*شو ان کتھے*

ნაყო III—*شو ان کتھے*

პირობითი კილო—کشته شده باشم

პირველი მყოფადი—کشته خواهم شد

უფრო აღრე, ძველს ენაში ვხედვებით აგრეთვე მეშველი ზმნის როლში ზმნას آمدن—آی-მოსვლა.

### შედგენილი ზმნები

სპარსულ ზმნათა უმეტესობას მიზრდია აწ გამჭრალი პრეფიქსები. სანიღუმოდ საკმაოა ზოგიერთი მათგანის დასახელება:

آ-ძვ. ā-მო: آمدن-მოსვლა, آوردن-მოყვანა, მოტანა.

af, f-ძვ. abi-მდე: افروختن-აგზნება ანთება, افگندن-ასროლა, გატყორცნა.

او, a-ძვ. ava-მდე: اوفتادن (ان ا)-დავარდნა, ძირს დაცემა.

ان-ძვ. ham-თან: انباشتن-აესება, انگیختن-აღელვება.

پد, pi, p-ძვ. pati-ზე || მო: پذیرفتن-მიღება, بزمردن-მოქცნობა, پیوستن-შეკავშირება, მიბმა, მიხორცება, შეერთება.

پر-ძვ. para-გარდა: پرداختن-შესრულება.

پرا-ძვ. para + ā-გან: پراگندن-მიმოფანტვა, მიყრა-მოყრა.

ز-ძვ. uz-ალ: زدودن-გაწმენდა, წარხოცვა.

فر-ძვ. fra-წინაშე: فرستادن-გაგზავნა, فرمودن-ბრძანება.

گ-ძვ. vi-გან: گشادن-გაღება, گزیدن-არჩევა.

ن-ძვ. ni-ძირს, ქვე: نوشتن-დაჯდომა, نوشتن-წერა.

შენიშვნა. არსებობს ძველ ფალაურ სუფიქსთა მოვარდნის შემთხვევები, რისი კვალიც შენახულა ბგერით ცვალებადობასა და დიალექტურ ფორმებში.

მაგალითად:

شمردن-თელა, იგივეა, რაც ფალ. šmirdān (abi + hmar);

شتافتن-ჩქარობა, იგივეა, რაც ფალ. štaftān-štaftān;

یافتن-პოვნა, მონახვა, იგივეა, რაც ფალ. ajāftān (ā + af) და სხვა.

### დამოუკიდებელ ზმნიზედათა და წინდებულთა შეერთება ზმნებთან

ყველაზე უფრო ხმარებული ზმნიზედებია:

باز—1. „ახლად“, „შუკან“: باز آوردن-შუკანვე მოყვანა; بازآیدن-კვლავ ხილვა ან ნახვა. 2. „გან“: باز کردن-გარდაკარის გაღება; بازداشتن-გარჩევა.

وا იხმარება ამავე მნიშვნელობით:

دادن - მიცემა; وا کردن - გაღება; وا-ჩვენება, საჩვენებლად გამოთენა.

بر-„ზე“, „ზევით“: برداشتن - აწევა; برآمدن - ამოსვლა, გამოსვლა; برآشفتن - გაშმაგება, გაცხარება, აპილპილება.

برون - „გარეთ“: بیرون رفتن - გარეთ გასვლა; بیرون کردن - გამოგდება, გამოძეგება.

پیش - „წინ“: پیش آمدن - წინ გამოსვლა; پیش خواندن - წინაშე ხმოება.

در (უფრო ძვ. اندر) - „ში“: در کشیدن - შეზიდვა. შენთქმა: اندر شدن - შესვლა.

فرا - „უკან“: فرا رفتن - უკანხევა.

فراز - „ზევით“, „პირისპირ“: فراز آمدن - შეხვედრა.

فرو - „ჩირს“: فرود آمدن - ჩამოსვლა.

შ ე ნ ი შ ე ნ ა . აღვერბილური მნიშვნელობით ზმნიზედა პოეზია-ში ზოგჯერ ზმნის ფორმის უკანაც იხმარება: پیش - გამოვიდა შესახვედრად; گشت باز - უკანვე დაბრუნდა. ამგვარ შემთხვევებში ზმნის ნაწილაკები ზმნის ფორმებსა და მათ შორის დაისმის ხოლმე: در می آید - შემოდის, შედის; فرو ببرد - ჩაყლაპა; بیرون نرو - გარეთ არ გამოდის. თუმცაღა ხალხურად ამბობენ: در می آید და სხვ. ფირდოუსიც ხმარობს: مبر تاب روی - პირს ნუ იბრუნებ, ნაცვლად سا-برمتاب روی

### ფრაზეოლოგიური ზმნები

მეტად მრავალრიცხოვანია ისეთი შეერთებანი, რომლებშიც პირველი შემადგენელი ნაწილია სახელი, მათ შორის არაბული მასდარი და მიმღეობა, ხოლო მეორე — ზმნა; სახელდობრ:

ა) მოქმედებითი გვარის მნიშვნელობით:

تعب کردن - შეკრება; رها کردن - გათავისუფლება; گنجین کردن - გაკვირება; تمام نمودن - გათავება; جمع آوردن - შეკრება (ნიშნავს „მოტანა“-ს) და სხვა.

ბ) ვნებითი გვარის მნიშვნელობით:

انجمن شدن - შეკრებილ ყოფნა (گახდომა, ქცევა).

და გრდინ ცალკე) დაკარგვა-თბა გრდინ ან თბა გშტნ  
 ს, ე.ი. ნიშნავს „ქცევა“-ს, „გარ-  
 დაქცევა“-ს და სხ.).

შენიშვნა. მსგავსი „შეერთებანი“ სახელებისა სხვა ზმნებ-  
 თანაც ხშირია, და რადგან ეს ლექსიკონების საქმეა, მათ გრამა-  
 ტიკაში აღარ გამოვედევნებთ.

### წინდებული

ნამდვილი წინდებული უძღვის უცვალებელ სიტყვას, რომელსაც  
 ის მართავს, ან რომელსაც ის უერთდება. უქანასკნელ შემთხვევას აღ-  
 გილი აქვს ხმოვნით დაწყებული ნაცვალსახელის წინ.

ასეთს ნამდვილ წინდებულებს ეკუთვნიან:

از ანუ „აზ“; -დან“; ب (ძველი ب) და, უფრო იშვიათად, ب, -  
 -თან“, „კენ“, „დმი“; بر, ძველი ب-ზე“, „ზედან“, ب, ხმოვ-  
 ნებს წინ აგრეთვე بد-„ზედ“, „ში“, „კენ“, „საშუალებით“; بي, უფრო  
 ძველი ب-ზე“, „მდე“, „ვიდრე“; جز „გარდა“, ار, ძველ. اندر - „ში“,  
 „შიგან“ (ფაღ. andar); და აწ უკვე მოძველებული: زي-„კენ“და  
 -ზე“, „კენ“, „ში“.

ა) ორი წინდებულის შეერთებანი: ب-„მდე“, „მდის“; جزاز,  
 بجز- „გარდა“.

ბ) სხვებრ, ორმაგი წინდებულიდან ერთი დაისმის ხოლმე, როგორც  
 ზმნიზედა სიტყვის შემდეგ, რომელიც განმარტებულია მეორეთი (მეტ-  
 წილად ب-თი). მაგალითები: ار سا ب-ზღვაში. (შეად. ძვ. ქართ. ზღვასა  
 შიგან); شهر اندر-ქალაქსა შიგან, ქალაქში; بربر- თავსა ზედან,  
 თავზე; بکوه-მთასა ზედან, მთაზე. ეს კონსტრუქცია დღეს მოძვე-  
 ლებულია.

ზოგიერთი ადგილის ზმნიზედათაგანი, მეტწილად ნასახელარი,  
 ასევე თვით არსებითი სახელებიც, იხნარება წინდებულების მნიშვნე-  
 ლობით, მაგრამ მათი, როგორც ნამდვილი წინდებულების, ხასიათი გა-  
 მოიხატება იმაში, რომ ისინი დაისმიან status constructus-ში. ამგვა-  
 რებს წინ შეიძლება კიდევ გაჩნდეს ნამდვილი წინდებულები მიმართუ-  
 ლების განსასაზღვრად: ب, ار-სად? საით? از-საიდან?

ასეთი ზმნიზედებია:

اندر, ارو-შიგნით, შიგ. შიგან: باغ اندرون-ბაღში; ب,  
 باغ اندرون ან باغ اندرون-ბაღს შიგნით, ბაღში.



დრ-კარი, -ში; ازدر (از باب) - შედეგად, გამო.

რო-პირი, სახე, ხერხი; رویش آمد - ის მას პირში შეხვდა, ე. ი. პირისპირ შეხვდა (მდაბ.); აქედანვე: از روی — გამო, შედეგად, რის მაგიერადაც ამბობენ აგრეთვე: از راه (راه-გზა).

სრ-თავი, ბოლო; سرسر - ზე; ازسر - მიზეზით, გამოისობით.

გრდ - სიმრგვალე, გარშემო, ირგვლივ; აგრეთვე — گرد به

از میان - შუაგული, შუა, შორის; აგრეთვე در میان

از نزد - სიახლოვე, نزدیک - მახლობელი, - კენ; აგრეთვე, از نزد

رد نزد, به نزد

از نشیب - დაღმართი; نشیب

ამავე კონსტრუქციას ექვემდებარება برای, برای - თვის, გული-სათვის (მდაბიური رای ალბათ, იგივეა რაც რა ნაწილაკი მიც. ბრუნვისათვის და თანამნიშვნელოვანი — واسه).

აგრეთვე: جهت, بجهت, موجب, درباب, درخف, درباب - მიმართ, დამოკიდებით.

შენი შენა. არსებითი სახელებისაგან წარმომდგარი ზმნი-ზედები განსხვავდებიან ზემორე მოტანილთაგან მით, რომ ისინი არც შეიძლება შეუერთდნენ -ს, არც დასმულ იქნან მათ მიერ სამართი სიტყვის შემდეგ.

### ზ მ ნ • ზ ე დ ა

ზმნიზედად შეიძლება ხმარებულ იქნას:

1. ყოველი ზედსართაფი სახელი: بس - ბევრი, ძალიან, კმარა (وي - კმარა! იყოს!), دیر - გვიან, دوز - ჩქარა;

2. ზოგიერთი ნაცვალსახელი: هیچ - განა; უარყოფით — სრულიადაც არა; چندان - იმდენად; دیگر - კვლავ, ხელახლად;

3. ზოგიერთი არსებითი სახელი: ა) ცალკე: شام - საღამოს; صبحدم - განთიადისას, ალიონზე; بگه - დილით; روزوشب - დღედაღამ; گاه گاه - ხანგამოშვებით, დროდან დრომდე, ხანდახან. ბ) სხვა და სხვა განმარტებითი დამატებებით: باری - ერთხელ; فاضارا - შემთხვევით; امروز - დღეს; هر آنه - ყოველ შემთხვევაში, უსათუოდ; اینجا - აქ; آنجا - იქ; هر جا - ყველგან; آنگاه - მაშინ; پس - შემდეგ; ناگاه - მოულოდნელად, უცებ; بدر - გარედან; سرسر, سراسر - საბოლოოდ, სულმთლად; روز بروز - დღე-დღეზე და სხვ.

შენიშვნა. ასევე ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარება ბევრი არაბული გამოთქმა: *الآن* - აწ, ახლა; *الحق* - ქეშმარიტად; *بالكلية* - მთლიანად, სულმთლად; *محض* - მხოლოდ, მარტოდ-მარტო. მეტისმეტად ხშირია არაბ. შემასმენლობითი ბრუნვა. მაგრამ თენვინი *ء* „ან“ უფრო ხშირად არ გამოითქმის. მაგალითები: *حالا* - აწ, ახლა; *أحياناً* - ხანდახან, ზოგჯერ, და სხ.

### ზმნიზედათა შესადგენი სუფიქსები

*ها, ان* და *انه*, რომელთა ხმარებაც განისაზღვრება შემდეგი გამოთქმებით:

*بار* - *بارها* - ჯერები, ბევრჯერ;

*ديرها* - დიდი ხანია;

*تنها* - *تنها* - მარტოდ-მარტო, ცალკე (იხმარება აგრეთვე როგორც ზედსართავი);

*بهار* - *بهاران* - გაზაფხულზე;

*بامداد* - *بامدادان* - განთიადისას;

*صبحگاهان* - *صبحگاهان* - დილა - ადრინან;

*ناگاه* || *ناگاهان* - ანაზღად, მოულოდნელად, უეცრად;

*روزشبان*, *شبانروز*, *شبانروز* - დღისით და ღამით, დღედაღამ;

*ملوكانه* - *شاهانه* - მეფურად;

*روزانه* - დღიურად;

*ماهانه* - თვიურად;

*سالانه* - წლიურად; ყოველწლივ.

### კიდევ ნამდვილი ზმნიზედები

ა) ადგილის: *ايدر* - აქ (მოძველებულია); *كو*, *كجا* - სად.

ბ) დროისა: *كي* - როდის, როგორ; *تاكي*, *تابكي* - სადამდე. რადრომდე; აგრეთვე: *اکنون*, *کنون* (نون) - აწ, ახლა; *هنوز* (نوز) - კიდევ, —უარყოფით—ჯერ კიდევ არა; *نيز*, *بنيز* - კიდევ, ხელმეორედ.





ე) დათმობითი:

اگرچه - თუმცა; گرچه - თუმცა; هر چند - რამდენიც არ, თუმცა; تا آنکه - იგივე باوجود - იმიტომ რომ; تا آنکه - იმიტომ რომ; مابعد - მისა, რომ; მასთან რომ; تا آنکه - მნიშვნელობით.

ვ) მიზეზობრივი:

که - რადგანაც, რომ; چون - რადგანაც (პირველი აგრეთვე დროისაა - როდის); چه - რადგანაც, იმიტომ რომ (მოდე.); زیرا - ღვედ. (ازیرا), زیرا که (მდაბ. چرا که) - ვინაიდან, იმიტომ რომ; زیرا که - იმის გამო რომ; از بسکه - იქამდე რომ.

ზ) მიზნისა:

که - რომ, რათა; تا - რათა არა, იმიტომ რომ არ;

تا - ნეტავი... کاش, چه, کاشکه, کچکه

თ) დროისა:

چون - როდის; که - როგორ; تا - სანამ;

ი) კითხვითი:

چه - ზოგჯერ იწყებენ პირდაპირ კითხვას, მეტწილად კი მათ სტოვებენ ხოლმე, რის დროსაც წინადადების ბოლოში დაისმის - یا نه; მაგალითად, - زبان فارسی میدانی یا نه - იცი სპარსული (თუ არა)? არაპირდაპირი კითხვა კი იწყება ხოლმე که - თი: تا در نگرد که بی تو چون خواهم خفت - თუ უშენოდ როგორ დავიძინებ. მეორე ნაწილი ორმაგი კითხვისა იწყება تا - თი.

### შორისდებული

შორისდებულთა შორის ზოგი არაბული წარმოშობისაა.

მაგალითები:

افسوس - აფსუს! ვაჲ რა დასანანია! სამწუხაროა რომ.

دریغ - რა საცოდაობაა!

خیف - არაბ. خیف - ვაი საწყალო! დასანანია!

ქახილის დროს იხმარება:

ای - აბა ნახე, ერთი დახე! اینک - ეჲ! یا یا, حالا - ალა - აბა ნახე!

انت - ანთ!

გასაფრთხილებლად:

هان , هين - იცოდე! თვალი გეჭიროს! ფრთხილად იყავ!  
 هى , هاى - აბა! زينهار ან زنهار - უფრთხილდი! ხაბარდა!

მწუხარებისას:

آ-ოჰ, ახ! وا , واى , واى , اى , ايواد , آ-ვამ, აი ვამ!

ზიზლის გამოსახატავად:

تفو - ფუი, ფუ!

სიხარულის და აღტაცების გამოსახატავად:

با , به , به , برك الله - ბარაქალა! ყოჩაღ! ვაშა!  
 با - აფერუმ, გამჩენის კირიმე! ვაშა!

## სიტყვათ - წარმოება

### სიტყვათ - შედგენა

რთულ სიტყვათა ნაწილებად სპარსულში გამოყენებულია მეტყვე-  
 ლების ყველა ნაწილი, თვით ზმნის ფუძეებიც კი.

არსებობს რთულ სიტყვათა შემდეგი ჯგუფები:

1. Composita copulativa, რომელთა ნაწილები ურთიერთის მიმართ  
 სინტაქსურ კავშირში იმყოფება; ეს კავშირი ხშირად ორი ნაწილაკითაა  
 გამოხატული, ზოგჯერ კი იგი იგულისხმება.

ა) რთული სიტყვის ორივე ნაწილი უცვლელადაა წარმოდგენილი  
 ერთი მეორის გვერდით, შემდეგნაირად:

كاو (აწმყოს ფუძე ზმნისა كافتن - თხრა) - კვლევადიება;

آمدشدن (სიტყვა-სიტყვით: „მოსვლა და წასვლა“) - მისვლა-მოსვლა,  
 და სხვ.

ბ) რთული სიტყვა კავშირით, ან წინდებულებით ه , ل , تا , به , |

خرید و فروش - ყიდვა-გაყიდვა;

دادوستد - ალებმიცემობა, ვაქრობა;

اروارو - (خفتن - სელა) - ლაშქრობა, და სხვ.

ეს რაც შეეხება სახელებს. განვიხილოთ ახლა ზმნიწედები:

جوجو - მარცვალ - მარცვალ;

يك به يك - ცალკე. განცალკევებულად, ხალვათად.

سراسر || سربسر | سر تا سر . سرتاسر (سر - თავი) - სრულიად, სავსებით.

შენიშვნა. აქვე უნდა მოვიტანოთ ე. წ. اتباغ. დამ-  
სგავსებით შეთანხმებული სიტყვები: تر و مرت • تار و مار •  
დაფანტული; დაბნეული, შეწუხებული, და სხვ.

2. Composita determinativa. რომელშიც პირველი წევრი ყოველ-  
თვის დამოკიდებულია მეორეზე ან დაახლოებით განმარტავს მას მისარ-  
თის სახით. ეს პირველი წევრი არის ან არსებითი სახელი, რომელიც  
ბრუნვით დამოკიდებულებაშია მეორესთან, ან ამ უკანასკნელის განმარ-  
ტავი ზმნიზედა, ან იშვიათად, არსებითი ან რიცხვითი სახელი. ამი-  
თომ გვაქვს ორი ჯგუფი, რომელთაგან თვითეული, თავის მხრით, გა-  
ნიყოფება არსებით და ზედსართავ სახელებად. ცხადია, რომ ყოველი  
ასეთი ზედსართავი სახელი შეიძლება იხმარებოდეს, როგორც არსები-  
თი სახელი.

### გარკვეულ ბრუნვით დამოკიდებულებაში მყოფი რთული სახელები

ა) არსებითი სახელი არსებით სახელთან, ძველი გენეტივის სახით  
შეთანხმებული: მსაზღვრელი გენეტივი წინ უძღვის საზღვრულს.

მაგალითად:

ساشانامه - მეფის წიგნი;

وطن آس - სამშობლო, და სხ.

ბ) ზედსართავი: მიმღობა, რომელსაც წინ უძღვის არსებითი სახე-  
ლი ან შემასმენლობითი ბრუნვა, როგორც დამატება ან, როგორც ზმნი-  
ზედა ანდა როგორც ადგილის გარემოება:

دل آزار - გულის მტანჯველი;

تخت نشین - ტახტზე მჯდომი;

شاد فیروزشاد - ძღვეით მორკმული, გახარებული.

გ) რომელიმე მისართით განმარტებული რთული სახელი:  
არსებითი სახელები:

زبرجد جام - ზურმუხტის თასი;

صیاب - ვერცხლის წყალი, ქეზაფი.

ზედსართავი სახელები:

خوش نویسی - კარგად მწერი;

نادان - არამცოდნე, უვიცი;

ناپاک - უწმინდური;

ناشته - დაუბანელი, გაურეცხელი;

نورسید - ახლად მომწითებული, ახალგაზრდა;

همشین - თანამჯდომი, თანამზრახველი.

დ) რთული ზედსართავეები, რომლებშიც მეორე ნაწილი ყოველ-  
თვის არსებითი სახელია, მაგრამ მაინც კიდევ ინარჩუნებენ ზედსართავთა  
ჰნიშვნელობას.

აღსანიშნავია აქ ზედსართავთა ორი ჯგუფი:

A. კუთვნილებითი რთული სახელები, რომელთაც გააჩნიათ მფლობელობის ნიჟანსი:

شیردل - ლომის გული, ლომგული;

چهارپا - ოთხფეხი;

ناکام - საწადელ-აუსრულებელი (მკსურვილი).

B. წინდებულებიანი რთული სახელები.

ძალიან ბშირია წინდებულები: لا, به - თან, ერთად, ით, და, -უ, რომელნიც არსებითი სახელის წინ წამძღვარებულები გამოხატავენ სა-  
კუთრების მარეწებელ რთულ ზედსართავ ან არსებით სახელს:

باوفا - ერთგული (ერთგულებით მყოფი);

بازور - ძლიერი (ძალით მყოფი);

بی‌حیا - უსირცხვილო.

### სიტყვათ-წარმოება

ვინაიდან ძველად მომქმედი სიტყვათ-წარმოების სუფიქსები მეტწილად უკვე მოსწორდნენ და გაქვედნენ, ენას უნდა შეექმნა ახალი საშუალებები სიტყვათა საწარმოებლად. ეს საკმაოდ დიდ ნაწილში ოდესღაც დამოუკიდებელი სიტყვები და ის, რასაც აწ თვლიან სიტყვათ-წარმოებად, თავდაპირველად იყო სიტყვათ-შედგენა. ამგვარი შეხედულება არკვევს ახალ-სპარსული სიტყვათ-წარმოების ყველაზე მეტად ხმარებულ სუფიქსთა ქვემოთ მოტანილ მიმოხილვას.

შენიშვნა. ყველა ის სუფიქსი, რომელთა შესახებ ლაპარაკი იყო მორფოლოგიაში, აქ გამოტოვებულია.

### ახალი სუფიქსები

ახალი სუფიქსები ნაწილდება ცნობილ საერთო კატეგორიებად. რომელთაგან აღსანიშნავია:

ა) ადგილის სახელწოდებათა მაწარმოებელი სუფიქსები:

لاخ : بار — شن — سار : زار : نان — عتي : ستان

ترکستان — თურქეთი;                      رخسار — ლოყა, ღაწვი;

خارسان — მავლოვანი;                      زنگبار — ზანგეთი;

گلزار — სავარდე;                      جامه‌داز — ჩემოდანი;

ბ) არსებით, მეტწილად პიროვნებათა, სახელების მაწარმოებელი სუფიქსები:

يد — dy. ფატი-ბატონი, და بان ანდა وان , وانه;

მაგალითად:

اسپید || اسپید — მხედართმთავარი (سپاه — ჯარი და يد — უფალი);

باغبان — მებაღე;

شتروان — მებაქლევე;

سایه‌بان || سایه‌وان — ქოლგა, სევანი.

გ) დაუფლებისა და დამოკიდებულების გამომხატველ ზედსართავ სახელთათვის:

مان (مند و مند: უფრო ძველი), يار, اور, وار, اور

მაგალითები:

دلاور — გულადი;	اميدوار — იმედის მქონებული;
نامور — სახელოვანი;	رنجور — დაღონებული;
بختيار — ბედნიერი;	شهر يار — ქვეყნის მპყრობელი, ხელმწიფე;
شادمان — მხიარული;	خرمند — კვიანი;
خوشاوند — თავისიანი.	خشمگين, خشناک — მრისხანე.

დ) მსგავსების მაჩვენებელ ზედსართავთა:

وار — وش, فش — دس, ديس — سار, سان, سا, آسا

და ფერებთან وام, فام

მაგალითები:

شیر آسا — ლომებრი;

پیل سا — სპილოს მსგავსი;

پلنگان — ჯიქებრი, ვეფხვებრი;

دیوسار — საეშმაკო, ეშმაკური;

شرمسار — დარცხვენილი, სირცხვილეული;

خوردیس — მზის მსგავსი;

شاهفش — მეფური; ماهوش — მთვარის მსგავსი;

بزرگوار — დიდებული; سیاه فام — მოშავო;

مشکوام — მუშკის ფერი, შავი.

ზედსართავ და არსებით სახელებს, რომლებიც გამოხატავენ მოქმედ პირს, დაერთვის შემდეგი სუფიქსები: **კ** (ნიშნავს საქმეს, სამუშაოს ანდა ძველ ნაზმნარ ზედსართავს — *karā*-მკეთებელი, მსაქმობი), **გ**, **გრ**

მაგალითები:

**شتابكار** — გაფოცებული, გაფაციცებული;

**آفريدگار** — შემოქმედი, გამჩენელი;

• **ستمگار** — მტარვალი;

**آهنگر** — მკედელი;

**دادگر** — მართლმსაჯული.

ძველი სუფიქსები

ა) კნინობითი სახელებისათვის გამოყენებულია სუფიქსები: **კ** და **ჯ**

მაგალითები:

**مردک** — კაცუნა;

**اسبک** — ცხენუკა.

ახალ სპარსულში იტყვიან აგრეთვე **ی**-ს ჩართვით **კ**-ს წინ:

**بنديک** — მონუკა, გოშია;

**خوايک** — ბატონუკა.

აგრეთვე ზედსართავთაგან:

**گرمک** — მოცხელო;

**باغچه** — ბაღჩა, და სხვ.

ბ) მოქმედების აღმნიშვნელი სახელები გამოისახება აწმყო დროის ფუძისათვის ش (ხალხური شت 'شن) სუფიქსის მიმატების საშუალებით:

پرورش — აღზრდა;

کنش — მოქმედება;

فرمایش — ბრძანება.

შენიშვნა. ეს სუფიქსი შეიძლება მიემატოს მხოლოდ აწმყო დროის წმინდა ფუძეს. თუ იგი შეადგენს საკუთრებითი რთული სახელის მეორე ნაწილს, მაშინ განყენებულ სახელთა გასახვის სუფიქსად შეიძლება იყოს მხოლოდ ی, ამიტომაც მაგალითად, بدکنش-ბოროტება, — არის მოცემული პირველადი რთული სიტყვა, მაშინ როდესაც اورببینی-შორსმხედველობა — არის მეორადი რთული სიტყვისაგან: اوربین - შორსმხედველი.

გ) تار და دار სუფიქსების საშუალებით იწარმოება მოქმედი პირის სახელები. ამასთანავე ზნის ფუძე ემორჩილება იმავე ბგერით ცვლილებებს, როგორც ინფინიტივის გასახვის დროს.

მაგალითები:

خریدار — მატყუარა; فریفتار — მყიდველი.

ამასთან ერთად, ამგვარი წარმოების ცალკე სიტყვებს ვნებითი მნიშვნელობა აქვთ.

მაგალითად:

گرفتار — დაქერილი; رستار — გათავისუფლებული.

ანდა წარმოადგენენ „მოქმედების სახელებს“.

მაგალითად:

خواستار — ძიება; کردار — მოქმედების სახე; گفتار — სიტყვა;

დ) ზედსართავები, უმთავრესად ნივთიერობითნი, იწარმოებიან — ين — და — يند — სუფიქსების საშუალებით.



მაგალითები:

زرّين, زرينه — ოქროსი;      ديره — ძველი, დიდხნის;

دوشين — გუშინდელი;      داستينه — სამაჯური.

და.ბოლოს აღსანიშნავია კიდევ შემდეგი სუფიქსები:

ა) ۴ — აწარმოებს:

ა) არსებით სახელებს სახელთა და ზმნათა ფუძეებისაგან.

მაგალითები:

چشمه — წყარო (چشم — თვალი);

کوه — კუზი (کوه — მთა);

پنجه — ხუთეული, თათი (پنج — ხუთი).

ზოგჯერ ძირითადი ფორმის მნიშვნელობა უცვლელად რჩება ხოლმე. მაგ., كين — كينه - შურისძიება; دختره — دختره - ქალწული, შვილი.

ბ) ზედსართავებს, სიტყვებისაგან, რომლებიც აღნიშნავენ დროს, ან ისეთი რთული სიტყვებისაგან, რომლებშიაც პირველი ნაწევარი არსებითი სახელია:

دوروي — ორპირი, ცბიერი;

روزه — დღიური მარხვა (მაჰმადიანები ღამით არ მარხულობენ).

ბ) ا და ن აწარმოებენ განყენებულ არსებით სახელებს ზედსართავთაგან:

گرما — სითბო;      فراخا — სივრცე.

ს ხშირად იჭერს ۴-ს ადგილს.

მაგალითად:

ياره — يارا — შეიძლება (ზმნა يارستن);

گنده — گندا — ცუდი სუნი, მყრალი (ზმნა گنديدن).

გ) ك აწარმოებს:

ა) არსებით სახელებს ზმნის ფუძეთაგან:

تپاك — აფუცხუნება (ზმნა تپیدن);

خوراك — ქამა (ზმნა خوردن).

ბ) ზოგიერთ ნასახელარს:

فراك — გასვრილი;

مفاك — ნახვრეტი, თხრილი, სამარე.

დ) ال ემატება არსებით სახელებს, ოღონდ მათ მნიშვნელობას არ უცვლის:

چنگال — კლანჭი, ქანგი;

دنبال — კული. || دم

ე) ان გამოხატავს:

ა) არსებით სახელებს მათი ძირითადი მნიშვნელობის შეცვლით.

ნ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი: جانان — საყვარელი, სულიკო (جان - სული);

كوهان — აქლემის კუზი, კეხი.

ბ) ადგილის სახელწოდებებს:

بيابان — უდაბნო, ურწყული;

توران — თურანელთა ქვეყანა.

ც) მამის სახელებს უფრო ძველს ენაში:

ارداشير بابگان — არდაშირ ბაბეკის ძე;

قارن كاوغان — ყარანი ქავას გვარისა.

ი) ზოგიერთ ზედსართავს: جاويدان — სამარადისო, მარადი; غرمان — მრისხანე (غرم — რისხვა).

შენიშვნა. ერთს შემთხვევაში ეს ان სუფიქსი თავისი ფუნქციით უახლოვდება მრავლობითი რიცხვის დაბოლოებას ძვ.

გენეტივის მრავლობით რიცხვს ānām, მეორე შემთხვევაში კი—  
აწმყო დროის სუფიქსს.

ვ) ან აწარმოებს:

ა) ზმნიზედებს და ზედსართავებს:

بزرگان — დიდებული;

عاشقانه — მიჯნურთაებრ.

ბ) არსებით სახელებს პარალელური انى ფორმით:

پیشانی — შუბლი.

ზ) كان (საშ. სპ. kān) აწარმოებს არსებით სახელებს:

خدايگان — მეუფე.

بازارگان || بازارگان — ვაჭარი (بازار - ბაზარი), და სხვ.

თ) ی აწარმოებს:

ა) მიმართებით ზედსართავებს, მათ შორის წარმოშობის აღსანიშნავ სიტყვებს; ამ ی-ს ეწოდება نسبت-დამოკიდებულების ანუ მიმართების ی

მაგალითები: ایزدی — ლეთისა, საღმრთო;

خانگی — შინაური.

ბ) განყენებულ ცნებებს მეტყველების ყველა ნაწილიდან, გარდა აწმყო დროის ფუძისა:

მაგალითები: دوستی — მეგობრობა;


خوبی — სილამაზე;

گم شدگی — დაკარგულობა;

چونگی — თვისება.

## სპარსული ზმნის უღლების მოკლე სქემა

(პრსიდნ — შეკითხვა)



## სპარსული ენის სინტაქსი

სპარსული ენა, მისი სინტაქსური წყობის შესწავლის მხრით, ქართველისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან მეტწილად შეესატყვისება ქართული ენის სტრუქტურას, თუმცა იგი,—განსაკუთრებით, თუ სახეში მივიღებთ დღევანდელ პრესის, ან სასაუბრო ენას,—არც დასავლეთ ევროპის ენათა სტრუქტურას არის ბევრად დაშორებული.

### სიტყვების განლაგება სპარსულ წანადადებაში

ჯერ ავიღოთ მარტივი წინადადების პირველი სახე; მასში პირველი ადგილი უჭირავს ქვემდებარეს, მეორე—შემასმენელს.

მაგალითები:

1. **مرد میخندد** -კაცი იცინის.

2. **بچه میگرید** -ბავშვი ტირის.

3. **آتش میفرزد** -ცეცხლი გიზგიზებს.

მაგრამ პირდაპირდამატებიან წინადადებაში, ამ უკანასკნელს (აკუზატივს) მეორე ადგილი უჭირავს ქვემდებარის შემდეგ, შემასმენელს კი—მესამე.

მაგალითები:

**گدا نان میخورد** -მათხოვარი პურს ჭამს.

**طالب کتابرا میخواند** -სტუდენტი წიგნს ჰკითხულობს.

მიცემითი ბრუნვა წინ უძღვის პირდაპირ დამატებას (აკუზატივს).

მაგალითები:

**معلم شاگردانرا درس میدهد** -მასწავლებელი მოსწავლეებს გაკვეთილს აძლევს.

**مادر بچه را نان میدهد** -დედა ბავშვს პურს აძლევს.  
დროს ფრაზაში მეტწილად პირველი ადგილი უჭირავს.

მაგალითები:

فردا برادرم بکوتایس میرود - ხვალ ჩემი ძმა ქუთაისს მიდის.

გიუშინ - დიროზ علی الصباح در تیلیسی زلزله ارض بود  
დილაადრიაან თბილისში მიწისძვრა იყო.

უკეთუ ზმნას დამატებად აქვს მთელი ფრაზა, ის მისდევს მას უკან.  
მაგ., იხ. ბერტელსი. (E. M. Бертельс. Учебник персидского яз. 1932, გვ. 188).

دیدم که در وسط اطاق یک میزی واقع شده بود

„დავინახე, რომ ოთახის შუა ადგილას მაგიდა იდგა.“

თუმცა ეს წესი, როგორც ცოცხალ სასაუბრო ენაში, ისე კლასიკურ პოეტებთან ხშირად ირღვევა და ზმნა დაისმის დამატების წინ.

მაგალითები:

مادر کتابرا دادش - დედამ მას წიგნი მისცა.

مے را دادمش - მე მას ვაშლი მივეცი.

گفتم بش - მე მას ვუთხარ.

رفت خانه - შინ წაიღა.

პროფესორ ე. ე. ბერტელსს მოაქვს საუკეთესო ნიმუში იმისა, როდესაც დამოკიდებული წინადადება შექრილია მთავარ წინადადებაში, იმგვარად, რომ ორივე შუაზე წყდება, ამასთან ერთად, მთავარი წინადადების შემასმენელი ხვდება უკვე იმ ადგილას, სადაც თავდება დამოკიდებული წინადადება, რის შედეგადაც ორივე წინადადების შემასმენლები ერთი მეორის გვერდით არიან.

აი თვით ნიმუშიც:

حکومت بانٹشار دادن این بیاننامہ کہ باعبارات

فصیح نوشتہ شدہ بود راضی نبود

რაც უნდა ითარგმნოს ასე:

„მთავრობა ამ მანიფესტის გაერცვლებაზე, — რომელიც მკვერმეტყველური გამოთქმებით იყო დაწერილი, — თანახმა არ იყო.“

საქმე ის არის, რომ ქართველისათვის ასეთი ნიმუში, სინტაქსური წყობის მხრით, არავეითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან ეს სავსებით შეესატყვისება ქართული ფრაზის ბუნებას.

### პირობითი წინადადება

არსებობს ორი სახის პირობითი წინადადება:

1. შეუძლებელი, ანუ ისეთი, რომელშიაც პირობა შეუძლებელია, ან შესაძლებელია მაგრამ ფაქტიურად არ ყოფილა შესრულებული, ან მხოლოდ საგულევებელია მისი შესრულება.

2. შესაძლებელი, ანუ ისეთი, რომელშიაც პირობა შეიძლება მომავალში შესრულდეს.

#### პირველი სახის, ანუ შეუძლებელი პირობითი წინადადება

ასეთ წინადადებაში სპარსული اگر უდრის ქართულ რომ-ს.

هـ اگر این مدرس را پول بسیاری میبود تمام این هـ

ან კიდევ: صد کتابرا میخرید

هـ اگر این مدرس پول بسیاری میداشت تمام این هـ

صد کتابرا میخرید

პირველ წინადადებაში ქვემდებარე მიცემით ბრუნვაშია, მეორეში კი — სახელობითში. ქართულად ორივე წინადადება ერთნაირად ითარგმნება:

„ამ მასწავლებელს რომ ბევრი ფული ჰქონოდა (ჰქონდეს), ამ სამას წიგნს მთლიანად შეიძენდა (იყიდდა).“

ეს შეუძლებელი პირობითი წინადადებაა, თუმცა მომავალში შესაძლებელია მისი შესრულება, იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი საკმაოდ ფულს იზოგნის.

ან და კიდევ:

اگر با ایشان هـلاک میشدم بهتر می بود

„მეც რომ დავლუპულიყავ მათთან ერთად, უმჯობესი იქნებოდა.“

ზოგჯერ می დამოკიდებულ წინადადებაში, განსაკუთრებით კი სასაუბრო ენაში, გამოიტოვება ხოლმე \*\*.

მაგალითად:

اگر من جای تو بودم این کار را نمی کردم

„მე რომ შენს ადგილზე ვყოფილიყავი, ამას არ ვიზამდი.“

می بود - ის ნაცვლად შეიძლება ითქვას აგრეთვე بود

\* როგორც უკვე შევნიშნეთ აქვე, სპარსული اگر - თუ - ამ შემთხვევაში უდრის ქართულ რომ-ს ისე, როგორც კლასიკურ სპარსულში. იხ. აქვე გვ. 64-ზე ომარ ხაიანის დობებით:

ابلیس اگر باده بخوردی یکدم \* کردی دو هزار سجده پیش آدم

\*\* E. Э. Бертельс. Учебник персидского языка. Ленинград, 1932 г.

## მეორე სახის პირობითი წინადადება

1. მეორე სახის პირობითი წინადადება ისეთია, რომელშიაც პირობის შესრულება შესაძლებელია.

მაგ., ავიღოთ სპარსული წინადადება:

اگر این کتابرا پیدا بکنم نزد شما خواهم فرستاد

„თუ ვიპოვე ეს წიგნი, მე მას თქვენ გამოგიგზავნი.“

აქ უკვე ზუსტად არის დაცული სპარსული اگر-ის ქართული შესატყვისობა—თუ. ზნა მთავარ წინადადებაში პირველ მყოფად შია, დანაკიდებულ წინადადებაში კი — კავშირებით კილოში.

სრულიად ამგვარივეა შემდეგი მაგალითიც:

اگر شما اطاق مرا به بینید البته تعریف خواهید کرد

„თუ თქვენ ნახავთ ჩემს ოთახს, უთუოდ მოგეწონებათ.“

2. შეიძლება შეიცვალოს გამოთქმით: ان هر کسی که ان دا: هر چیزی که ყველა ვინც კი, ყველა რაც ან რაც კი. ყველა აგრეთვე მოითხოვს კავშირებით კილოს დამოკიდებულ წინადადებაში.

მაგალითად:

هر کسی که این کتابرا به بیند البته خواهد خرید

„ყველა, ვინც კი ამ წიგნს ნახავს, ალბათ იყიდის (კიდევ).“

ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ, როდესაც მთავარი წინადადების მოქმედება დასრულებულად ითვლება, პირველი მყოფადის ნაცვლად სპარსულში შეიძლება გაჩნდეს მეორე მყოფადი:

بهر قیمت بخری ارزان خریده باشی

„რა ფასადაც არ უნდა იყიდო, იაფად იყიდი.“

3. ისეთ შემთხვევაში, როცა პირობა არავითარ ექვს არ იწვევს, კავშირებითი კილოს ნაცვლად შეიძლება იყოს თხრობითი კილოს აწმყო დროც.

მაგალითად:

اگر معنی این حرفرا می دانی بمن بگو

„თუ იცი ამ სიტყვის მნიშვნელობა, მითხარ.“ (რის დროსაც მომქმედი ფიქრობს, რომ მისმა მოსაუბრემ მართლაც იცის ეს).



4. ცოცხალ სასაუბრო ენაში ზოგჯერ ვხვდებით ისეთ კონსტრუქციას, რომელშიაც გადმოცემულია სრული რწმუნება მოლაპარაკისა იმაზე, რომ პირობა ასრულდება; ის თითქოს ხედავს მას განხორციელებულს, რისთვისაც დამოკიდებულ წინადადებაში სვამს მარტივ ნამყოს; ამ შემთხვევაში კი სრული შეხვედრაა სპარსულსა და ქართულს შორის.

მაგალითად:

اگر پول بشما داد پیش من بیاورید

„თუ მან მოგცათ თქვენ ფული (ის უთუოდ მოგცემთ), მე მომიტანეთ.“

اگر فریاد زدی میکشم

„თუ განგაში ასტეხე, მყისვე მოგკლავ.“

#### ღათმობითი წინადადება

ღათმობითს წინადადებაში დამოკიდებული წინადადება შეიძლება შეთანხმებულ იქნას შემდეგი ნაწილაკებით: اگرچه - თუმცა; هرچه, باوجود آن - რამდენიც არ; و لو და უკეთუ; هرچند که - მიუხედავად ამისა, მიუხედავად იმისა რომ; با آنکه, تا آنکه - თუმცა; حال آنکه - იმ დროს, როცა; گرفتارم - დაეუშვათ, რომ.

მთავარი წინადადება კი შეთანხმებულია ხოლმე ნაწილაკებით: باز, اما, لیکن, ولی - მაგრამ, მაინც, ხომ და სხვ.

საპირობისდაგვარად დრო შეიძლება იყოს აწმყოც და ნამყოც.

მაგალითები:

اگرچه مرا نمی‌شناسی لیکن من ترا خوب می‌شناسم

„თუმცა შენ მე არ მიცნობ, სამაგიეროდ მე კარგად გიცნობ.“

اگرچه این حکایت طولانی است باز دلپذیر نیست

„თუმცა ეს ამბავი გრძელია, მაგრამ მაინც საინტერესო არ არის.“

برای شراب خوردن می‌میرید و حال آنکه آن امر

خلافی شریعت است

„თქვენ აკვდებით ღვინის სმას, მაშინ როცა ეს შარბითთ აკრძალულია.“

სიტყვის საქცევების ხმარება სპარსულ დამოკიდებულ  
წინადადებაში

1. სიტყვის საქცევები „როგორიც უნდა იყოს“ და „რანაირიც არ უნდა იყოს“ (ან მეორე პირისათვის: „როგორიც გინდა იყოს“) სპარსულში შემდეგნაირად გადმოიციემა:

„ჰარ თოური ქე ბუდ“ - „ჰარ ყისმი ქე ბუდ“ ან და— „ბოდი კე ბოდი“ - „ჰარ თოური ქე ბუდ“.

2. საქცევი „რამდენიც უნდა იყოს“ (1 და 3 პირისათვის) ან „რამდენიც გინდა იყოს“ (მე-2 პირისათვის) სპარსულად გადმოიციემა სიტყვებით: „ჰარ კადრ“ - „რასთანაც ზნა დაისმის ჩვეულებრივ მეორე მყოფადში.

მაგალითები:

„ჰარ კადრ სა'ი ქარდა ბაშად“ - „რამდენიც უნდა (ან გინდა) ეცადოს.“

„ჰარ კადრ გოფთა ბაშად“ - „რამდენიც გინდა (ან უნდა) ილაპარაკოს.“

3. ადრინდელი ლიტერატურული ენა გაურბოდა ირიბი თქმის ხმარებას და ჩვეულებრივ გადმოგვცემდა პირდაპირი სახით, თუმცა სვამდა ზმნის შემდეგ ნაწილაკს -ს.

მაგალითი:

تاجر گفت که این جور قالی حاضر ندارم

„ვაქარმა თქვა: ასეთი ჯურის ნოხი არა მაქვსო.“

ანნაირად, თარგმნის დროს ასეთ შემთხვევაში ნაწილაკი კე შეიძლება გამოტოვებული იყოს. და მოცემულ იქნას პირდაპირი თქმა.

4. ქართულ თქმებს — ცოტადა აკლდა, ან ცოტადა დარჩომოდა, რომ უნდა მომკვდარიყო, ან რომ უნდა დაცემულიყო, სპარსულში სრული ექვივალენტები მოეპოვება:

მაგალითები:

„ბირდ ბოდ ბირდ“ - ახლოს იყო, რომ უნდა მომკვდარიყო.

„ბირდ ბოდ ბირდ“ - ცოტადა დარჩომოდა, რომ უნდა მომკვდარიყო.\*

\* Е. Ф. Бертольд, Учебник персидского языка. Ленинград, 1932. გვ. 88-176, 179, 182, 184, 185.

ზოგინათი კლასიკული მითითება სპარსული ლექსთ-წყობის  
ზოგათა წაქითხვის ასათვისებლად

სპარსული ლექსთ-წყობა აგებულია ძველი კლასიკური—ბერძნული და ლათინური—ლექსთ-წყობის მსგავსად, მარცვალთა რაოდენობასა და სიგრძე-სინოკლესზე, იმ დიდი განსხვავებით, რომ სპარსული ლექსი გარითმულია, და ამ გარითმვაში გამოვლენებულია ირანელ კლასიკურ პოეტთა შეუდარებელი ოსტატობა გრძელი ანუ რედითიანი\* რითმის მომარჯვებასა და სკანდირების ცოდნაში, რაც ხდება ლექსის ზომის შესავსებლად დახურული მარცვლის განაპირა თანხმოვანზე ხმოვან ე-ს წამატებით. მარცვლები განლაგებულია ამათუ იმ ზომის ლექსითი სტრიქონის ტერფებში და ისინი ორნაირია: გრძელი და მოკლე.

ბუნებით გრძელია ყოველი ღია მარცვალი მოკლე ხმოვნით; გრძელია ყოველი ღია მარცვალი გრძელი ხმოვნით, ან და დახურული მარცვალი მოკლე ხმოვნით; მაგრამ იგი შეიძლება იყოს ლექსის მოთხოვნებით, როგორც მოკლე, ისე გრძელი:

მაგალითები:

ā (a), ā (ā იზაფეთი) და u (و, تو, دو, چو);

پدر — — (იკითხება მარჯვნიდან მარცხნით);

شاه — — ; دلیر — — ; خان — — ;

جان — — ; روی — — ; مادر — — ;

უკეთუ დახურულ მარცვალში მოკლე ხმოვანს ახლავს ორი თანხმოვანი, ან გრძელ ხმოვანს ერთი ან ორი თანხმოვანი, მაშინ მარცვალი შეიქნება გრძელზე მეტი (— —) იმ პირობით, თუ ეს თანხმოვანი, ან ამ ორთაგან პირველი, არ არის ī, რომელიც სათვალავში არ მიიღება:

მაგალითად:

داست — — , گفت — — , کار — — , دوست — — , آفتاب — — — — ;

მაგრამ: خان — — , ماند — — , ماندن — — — — ;

სიტყვის ყოველი დამწყები ხმოვანი (გარდა ī იზაფეთისა და კავშირ و-ისა, რომლებიც დამაბოლოებლად ირიცხება), შეიძლება გამოთქმულ იქნას ჰამზით (spiritus lenis), ან შეუერთდეს წინა

\* ლექსთ-წყობაში რედითი ეწოდება სიტყვას, რომელიც უშუალოდ მისდევს გრძელ რითმას (حرف مدّ) და წარმოადგენს მის მეორე აუცილებელ ნაწილს.

თანხმოვანს (اصل); პირველ შემთხვევაში ის იჭერს პოზიციას, წინა მარცვალი კი ინარჩუნებს თავის თავდაპირველ ოდენობას.

მაგალითად:

بدرآز — — — ფა-დწრ-აზ; شاه آز — — — შაჰ<sup>პ</sup> აზ;

მეორე შემთხვევაში მოკლებმონიანი გრძელი მარცვალი იქცევა მოკლედ, გრძელზე მეტი კი — მხოლოდ გრძელად: ფწ-დწ-რწაზ, შწ-ჰწაზ. თუ ამასთანვე პირველი სიტყვა ბოლოვდება ასოებზე ი, უ, აი, აუ, ეს დაბოლოებები იშლებიან ია, უა, აა და აა — დაბოლოებებად.

მაგალითად:

آز سمدى — — — სა'დი-მაზ; ابروآز — — — აბრუ-ვაზ;

وى آز — — — ვააზ; نوآز — — — ნა-ვაზ.

ორთანხმონიანი გრძელზე მეტი დახურული მარცვლები არ იცვლიან ოდენობას ხმოვნების წინ, რადგან სულ ერთია از دوست სკანდირებული იქნება დუ-სთ<sup>პ</sup>-აზ თუ დუ-ს<sup>პ</sup>-თაზ-ის სახით, გამოდის ერთი და იგივე (— — —); მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს მარცვლები შეიძლება გაზომილ იქმნას აგრეთვე, როგორც დაქტილი, და მაშინ დუ-ს<sup>პ</sup>-თ<sup>პ</sup>-აზ (— — —) განსხვავდება დუ-ს<sup>პ</sup>-თაზ-ისაგან (— — —). სრულიად ასევე იზაფეთის წინ دوست من შეიძლება იყოს დო-სთე-მან (— — —) ან დო-ს<sup>პ</sup>-თე-მან (— — —), თუმცაღა უკანასკნელი შემთხვევა იშვიათია.

სპარსელი პოეტები პროზოდის მოთხოვნილებით იყენებენ ორმაგ ფორმებს, რომლებიც ბლომად არის სპარსულში.

მაგალითად:

1) მეტწილად ჰაბ ჰევესით დაბოლოებულ სიტყვებს, რომელსაც წინ უძღვის გრძელი ხმოვანი, როგორც მაგალითად:

پادشاه — — —, ან شاه — — — (ვასლით, — — —), پادشاه — — —; كوه — — — (ვასლით —); كوه (ვასლით —), და სხვ.

2) ორმაგ რ-თი (რ) დაბოლოებულ სიტყვებს.

زرّين, ترّ, زرّ (პროზაში მეორე რ მოვარდება); შეად. زرّ (زرّين) — — და زرّين — —), მუნჯი, და სხვ. აგრეთვე: دّ (შეად. دنب) — კული; كّ — ცოტა; تّ — სიცხე და სხვ.

3) ცალკე მღგარ სიტყვებს, როგორცაა:

چو (—) და چون (—) როგორც; زینہا (— — —), زینہار (— — —)  
და زینہარ (— —) — ფრთხილად!.. بودن (— —) და بدن (—) — ყოფნა.

چیدن და چیدن — შეკრება, მოწყვეტა, მოგლეჯა, მოკრეფა, და  
